ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

CENN

Shaping the Future by Changing Today

თანამონაწილეობითი საგრანტო კონკურსი ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინოვაციური და საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური სერვისების შექმნასა და განვითარებაზე

სახელმძღვანელო საგრანტო კონკურსის აპლიკანტებისათვის

საპროექტო განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: **12 ნოემბერი, 2023**

საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაიმართება ონლაინ საინფორმაციო სესია **16 ოქტომბერს, 10:00 საათზე.**

შეხვედრის ბმული:
https://us06web.zoom.us/j/84102202738?pwd=jCzvAI50p8Haoe4NXBjtbXo5KTbq2d.1

Meeting ID: 841 0220 2738
Passcode: 551983

9 ოქტომბერი, 2023

სარჩევი

1. საგრანტო კონკურსის მოკლე მიმოხილვა 3
2. ინფორმაცია პროექტის შესახებ....4
3. პრობლემის აღწერა....5
4. საგრანტო კონკურსის მიზანი....6
5. შემოთავაზებული პროექტის მიდგომა 10
6. ბიუჯეტი და თანადაფინანსება....11
7. კონკურსში მონაწილეობის პირობები: 13
8. საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების წარდგენა 14
9. წარსადგენი დოკუმენტები: 15
10. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება....15
11. შეფასების პროცესი 15
12. ინტერესთა კონფლიქტი 16
13. მონიტორინგი 17

1. საგრანტო კონკურსის მოკლე მიმოხილვა

დონორი	ევროკავშირი, პროექტის **'სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის'** ფარგლებში
საგრანტო პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	CENN
საგრანტო პროგრამის სახელწოდება	თანამონაწილეობითი საგრანტო კონკურსი ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინოვაციური და საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური სერვისების შექმნასა და განვითარებაზე
საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის მოცულობა	მინიმალური: 10,000 ევრო მაქსიმალური: 20,000 ევრო
პირები, ვისაც შეუძლია კონკურსში მონაწილეობა	(1) რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და (2) მუნიციპალიტეტის მერიები
დაფინანსებული პროექტის ხანგრძლივობა	მინიმუმ 6 თვე, მაქსიმუმ 12 თვე
პროექტის განხორციელების არეალი	ახალციხე, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ნინოწმინდა, წალკა.
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა	12 ნოემბერი, 2023
პროექტის დაწყების დრო	1 იანვარი, 2024

2. ინფორმაცია პროექტის შესახებ

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის 4 წლიანი პროექტია, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიმდინარეობს 2022 წლის 1 იანვრიდან. პროექტი ხორციელდება CENN-ის მიერ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს (CTC), ქვემო ქართლის მედიასა და პირველ ევროპელთან ერთად.

პროექტი მუშაობს ქვემო ქართლის (მარნეული, თეთრიწყარო, დმანისი, გარდაბანი, ბოლნისი, წალკა) და სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ნინოწმინდა) რეგიონების რვა მუნიციპალიტეტში და უზრუნველყოფს სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობას სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მათ შესაძლებლობების განსავითარებლად.

პროექტი ეფუძნება ხედვას, რომ ძლიერი და კომპეტენტური სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს საზოგადოების თვითგანვითარებას და მხარს უჭერს სახელმწიფოს, როგორც სოციალური მომსახურების მთავარ მიმწოდებელს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:

შედეგი 1: ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გაძლიერებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები და გაუმჯობესებულია სოციალური სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ეფექტიანად უწევენ ადვოკატირებას მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას;

შედეგი 2: შექმნილია სათემო მექანიზმები, რომლებიც აუმჯობესებს ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობს პოსტ-პანდემიური გამოწვევების საპასუხო სოციალური სერვისების მონაწილეობრივ განვითარებას;

შედეგი 3: ფინანსური მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი აქტორების შესაძლებლობები განვითარებულია: ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა გაზრდილია, ადგილობრივი ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკები პილოტირებულია მონაწილეობრივი და ინოვაციური მიდგომების სოციალური სერვისების განვითარებისა და შექმნის მიმართულებით.

3. პრობლემის აღწერა

მოსახლეობისთვის, მათ შორის სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრებთათვის სოციალური მომსახურების ეფექტიანი მიწოდება კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. დაბალია მოქალაქეების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით, თუკი ქვემო ქართლში 2019 წლის მონაცემებით ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა 28%-ს უტოლდებოდა, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 15%-მდეა შემცირებული. მსგავსი შედეგები მოწმობს, რომ მოქალაქეები, ძირითადად, არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამოქალაქო აქტივიზმსა და საჯარო პროცესებში.[1]

აღნიშნულ შედეგებზე გავლენა კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამაც მოახდინა. საგანგებო მდგომარეობისა და კარანტინის გამო გართულებული იყო მოქალაქეების ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობა. 2020 წელს საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეას) მიერ ჩატარებული კვლევა -„მუნიციპალური მართვის გამოწვევები COVID-19 პანდემიის პირობებში“ - აჩვენებს, რომ პანდემიის პირობებში სრული დატვირთვით ვერ ფუნქციონირებდა მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: დასახლების საერთო კრება და მერის მრჩეველთა საბჭო. დასახლების საერთო კრების მოწვევას ხელი შეუშალა საზოგადოებრივი შეკრების აკრძალვამ, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერების გამო, მერის მრჩეველთა საბჭოს წევრების შეკრება გართულდა. მეორე მხრივ, კვლევაში აღწერილია, რომ პანდემიის პირობებში ელექტრონული ინსტრუმენტების მუშაობის მხრივ პრობლემები არ გამოკვეთილა.[2]

მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოქალაქეთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე დაფუძნებული სრულფასოვანი სერვისების შეთავაზება მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში შეუძლებელია. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფლებამოსილების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის გადანაწილება.

სოციალური სერვისების მიღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ არსებული რეალობა უფრო გაართულა, განსაკუთრებით კი ისეთი ადამიანებისთვის, როგორებიც არიან: ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული

[1] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, http://www.lsgindex.org/ge/analysis/

[2] საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა), *„მუნიციპალური მართვის გამოწვევები COVID-19 პანდემიის პირობებში“*, 2020

შესაძლებლობის მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, ხანდაზმულები და ა.შ. პანდემიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებასა და მმართველობაში, რითაც ხელს შეუწყობს უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას და მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის, სოციალურ სერვისებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

4. საგრანტო კონკურსის მიზანი

საგრანტო კონკურსის ზოგადი მიზანია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამიზნე მუნიციპალიტეტებში[3] მონაწილეობითი გზით ახალი ტიპის სოციალური სერვისების შექმნა და დანერგვა.

საგრანტო კონკურსის კონკრეტულ მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მერიების თანამშრომლობას მუნიციპალურ დონეზე არსებული საჭიროებების შესაბამისი ინოვაციური საპილოტე სოციალური მომსახურების შექმნასა და განხორციელებაში.

თანამონაწილეობით საგრანტო კონკურსში განაცხადის შემოტანა შეუძლია კონსორციუმს, რომელიც შედგება მინიმუმ ერთი რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისაგან და მუნიციპალიტეტის მერიისგან.

ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ან მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიებს.

გრანტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ერთი კონკრეტული სოციალური მომსახურების/სერვისის შექმნისა ან/და განვითარებისკენ, რომელიც მიმართული იქნება ქვემოთ მოცემული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება ინოვაციური იდეები, რომლებიც უკავშირდება შემდეგ მიმართულებებს:

- სოციალური მომსახურებები;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები;

[3] ახალციხე, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ნინოწმინდა, წალკა.

- სოფლებში სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება;
- ინოვაციური ციფრული სერვისები, რომელიც ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფებისთვის სერვისების მიწოდებას, ინფორმაციით უზრუნველყოფას და სხვა.

საგრანტო კონკურსში შემოთავაზებული იდეები ორიენტირებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ერთი ან მეტი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე:

- **სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები:**
  - ობოლი და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები;
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - პირი, რომელსაც ეს სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
  - ოჯახის მზრუნველობამოკლებული, შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანი;
  - მარჩენალდაკარგული - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლამდე;
  - მიუსაფარი ბავშვი - ქუჩაში მცხოვრები, არასრულწლოვანი ან/და ქუჩაში მომუშავე არასრულწლოვანი, რომელიც ასეთად იდენტიფიცირებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახი** - განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია;

- **უსახლკარო პირი** - მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო. ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის შესაბამისად, იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფებიც მიეკუთვნებიან უფლებების მატარებელ ჯგუფებს;

- **ბავშვები** - 18 წლამდე არასრულწლოვანი პირები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ითვლებიან განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად; ეს ჯგუფი სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტია. ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით,

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით და სახელმწიფოს მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით;

- **ახალგაზრდები**;

- **ქალები** - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ქალები წარმოადგენენ იმ მოწყვლად ჯგუფს, რომლის მიმართ სისტემური ხასიათი აქვს დისკრიმინაციასა და ძალადობას;

- **ეროვნული უმცირესობები** - ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ უმცირესობებს. 2006 წლიდან ძალაში შევიდა „ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, რომელიც საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს. ეროვნულ უმცირესობებს საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ.

- **რელიგიური უმცირესობები** - საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ იდენტიფიცირდება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, მაგალითად, ისლამის (10.7%) და სომხური სამოციქულო ეკლესიის (2.9%) წარმომადგენლები[4].

- **ეთნიკური უმცირესობები** - საქართველოს მასშტაბით ეთნიკური უმცირესობების ყველაზე დიდ თემს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.3%) და სომხები (4.5%). ისინი, ძირითადად, ცხოვრობენ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. მაგალითად, სომეხი თემი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 50.5%-ია, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტის (ქვემო ქართლი) მოსახლეობის 83.7% აზერბაიჯანელი თემია. ზოგადად, აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქვემო ქართლის რეგიონის 41.7% შეადგენს.[5]

- **სექსუალური უმცირესობები** - ადამიანთა ჯგუფები, ვისი სექსუალური იდენტობა და ორიენტაცია განსხვავდება საზოგადოების უმრავლესობისგან, მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები.

- **ეკომიგრანტები** - სტიქიური უბედურებით დაზარალებული პირები, რომელთაც მოუწიათ თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიტოვება[6].

---

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, “საქართველოში მოსახლეობის ზოგადი აღწერა 2014”

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, “საქართველოში მოსახლეობის ზოგადი აღწერა 2014”

[6] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების

- **ხანდაზმულები** - საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, 2005 - პენსიის მიმღები პირები, რომელთაც შეუსრულდათ 65 წელი (კაცების შემთხვევაში) ან 60 წელი (ქალების შემთხვევაში[7]).

- **დევნილები** - იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული სპეციფიკური საჭიროების მქონე პირი[8].

- **მრავალშვილიანი ოჯახები** - პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი[9] ან/და ნაშვილები და მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი[10].

- **მარტოხელა მშობელი** - მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი[11], რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების მოწმობის ჩანაწერში არ არის შეტანილი მონაცემები ბავშვის მამის ან დედის შესახებ. აგრეთვე პირი, რომელსაც შვილად ჰყავს აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში[12].

- **ჯანმრთელობის დაცვის საჭიროების მქონე ჯგუფები** - ქრონიკული და თანდაყოლილი დაავადებების, ონკოლოგიური პრობლემების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და სხვა.

- **ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი** - პირი, რომელსაც ოჯახის სხვა წევრმა შეუზღუდა უფლებები და თავისუფლებები, უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.[13]

- **სტუდენტი** - პირი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან

პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“

[7] საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ , 2005

8 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ კანონით , 2014

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1191[2] , 1997

[10] საქართველოს მთავრობის დადგენილება N517 „მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესის აქ და პირობების განსაზღვრის თაობაზე“, 2018

[11] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1191[1] ,1997

[12] საქართველოს მინისტრის 2015 წლის 16 ივნისის ბრძანება N 79/N01-18/ნ შესაბამისად „მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“

[13] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ , 2017 წ

დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.[14]

5. შემოთავაზებული პროექტის მიდგომა

ყველა შემოთავაზებული საპროექტო განაცხადი აუცილებელია პასუხობდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას (HRBA). პროექტი ნათლად უნდა ასახავდეს თუ როგორ შეუწყობს შემოთავაზებული მომსახურება ხელს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების კონკრეტული უფლებების რეალიზებას.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (შემდგომში - HRBA) არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძვლებზე შემუშავებული კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც გამოიყენება როგორც ადვოკატირების, ასევე სამართალწარმოებისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავების დროს[15]. HRBA მიდგომით შესაძლებელია გამოაშკარავდეს ვალდებულებების, უთანასწორობის, მოწყვლადობის, დისკრიმინაციული მიდგომები როგორც საკანონმდებლო ჩარჩოში, ასევე არსებულ პრაქტიკაში. HRBA ძირითადი სამუშაო პრინციპები ეფუძნება ადამიანის უფლებათა ისეთ სტანდარტებსა და პრინციპებს, როგორებიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია[16] (1948), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია[17] (1950) და ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია[18] (2000).

HRBA პოლიტიკის ფორმირებისას ადგენს ორი მხარის შესაბამისობას:

- <u>**უფლებების მატარებლები**</u> (rights holders) - ადამიანთა ჯგუფები (განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანები) და მათი ინტერესების დამცველი სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ, ჰქონდეთ ამ უფლებების რეალიზების შესაბამისი შესაძლებლობები და, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების გათვალისწინებით, დაცული იყვნენ ძალადობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან.
- <u>**პასუხისმგებლობის მატარებლები**</u> (duty bearers) - სახელმწიფო - ცენტრალური და ადგილობრივი - ინსტიტუტები, რომელთაც აქვთ ვალდებულება პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები.

[14] საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2004

[15] European Commission, Applying the Human Rights Based Approach to international partnerships, Brussels, 30.6.2021 - https://international-partnerships.ec.europa.eu/system/files/2021-07/swd-2021-human-right-based-approach_en.pdf

[16] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1948 - https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

[17] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0

[18] ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, ევროპის საბჭო, 2000 - https://www.echr.coe.int/documents/handbook_non_discri_law_kat.pdf

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ეყრდნობა ხუთ ძირითად სამუშაო პრინციპს, რომლებიც PANEL (Participation, Accountability, Non-discrimination and Equality, Empowerment, Legality) სახელით არის ცნობილი.

- **მონაწილეობა (Participation)** - ადამიანებს აქვთ უფლება ჩაერთონ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ ეხება მათ უფლებებსა და კეთილდღეობას და/ან უფლება აქვთ ჩართონ სხვა ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ. მონაწილეობა უნდა იყოს აქტიური, დამოუკიდებელი, გააზრებული და ხელმისაწვდომი, მათ შორის იგულისხმება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც იმ ფორმითა და ენით, რომელიც გასაგებია სამიზნე ჯგუფებისთვის.
- **ანგარიშვალდებულება (Accountability)** - გულისხმობს ადამიანის უფლებათა სტანდარტების ეფექტიან მონიტორინგს, ასევე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღკვეთის ეფექტიან მექანიზმებს.
- **დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობა (Non-discrimination and Equality)** - ასაკით, გენდერული იდენტობით, სექსუალური ორიენტაციით, ეთნიკური კუთვნილებით, ჯანმრთელობის მდგომარეობით, ეკონომიკური მდგომარეობით ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აკრძალვა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების იდენტიფიცირებაზე, რომელთა წინაშე არსებობს დამატებითი ბარიერები საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის.
- **გაძლიერება (Empowerment)** - ადამიანები და მათი უფლებების დამცველი ჯგუფები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ და მოიპოვონ მხარდაჭერა პოლიტიკისა და პრაქტიკის ფორმირებისას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათი უფლებების რეალიზებაზე.
- **კანონთან შესაბამისობა (Legality)** - ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ეროვნულ და საერთაშორისო კანონებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ.

საპროექტო განაცხადში, მნიშვნელოვანია განმარტებული იყოს რომელი პრინციპების განხორციელებას უწყობს ხელს შემოთავაზებული პროექტი.

6. ბიუჯეტი და თანადაფინანსება

საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ერთ პროექტზე მოთხოვნილ მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია 10,000 ევრო, ხოლო მაქსიმალური ოდენობაა 20,000 ევრო.

თანადაფინანსება: პროექტის ფარგლებში, სავალდებულო თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმოადგენს მთლიანი მოთხოვნილი ბიუჯეტის **მინიმუმ 20%.**

კერძო ან სხვა დონორის მიერ გაწეული თანადაფინანსება არ არის სავალდებულო. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაქსიმალური თანადაფინანსების მოცულობა **არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი თანხის 40%-ს.**

საგრანტო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

- უძრავი ქონების შეძენა;
- სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა გარდა იმ შემთხვევებისა როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს;
- კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს;
- აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
- სასწავლო/სამეცნიერო გრანტები (გარდა იმ შემთხვევებისა როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს);
- ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
- ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები;
- გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
- ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;
- მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
- სადაზღვევო ხარჯები;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დაშვებულია ადმინისტრაციული ხარჯის გაცემა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან პროექში ჩართულ თანამშრომლებზე (მაგ. პროექტის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი), თუმცა ბიუჯეტში სახელფასო ფონდის წილი არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.

პროექტები დაფინანსდება ლარში პროგრამის ფარგლებში შეთანხმებული კურსის თანახმად საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე.

7. კონკურსში მონაწილეობის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ);
- სამიზნე მუნიციპალიტეტის თვითმართველობის საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა და მერიებს.

თანამონაწილეობით საგრანტო კონკურსში განაცხადის შემოტანა შეუძლია კონსორციუმს, რომელიც შედგება მინიმუმ ერთი რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისაგან და მუნიციპალიტეტის მერიისგან. კონსორციუმში, შესაძლოა ჩართული იყოს ერთზე მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.

საგრანტო კონკურსში მთავარი განმაცხადებელი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობას დაადასტურებს შესაბამისი წერილით.

მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან შემოსული განაცხადები არ განიხილება.

დამატება: მუნიციპალიტეტის მერიებს შეუძლია იყოს ერთზე მეტი კონსორციუმის წევრი, თუმცა თითოეულ მუნიციპალიტეტში, ერთზე მეტი პროექტი არ დაფინანსდება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:

- პოლიტიკურ პარტიებს;
- რელიგიურ ორგანიზაციებს;
- საინიციატივო ჯგუფებს;
- ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი, მიკროსაფინანსო, ლომბარდი და ა.შ.).
- ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას.

8. საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების წარდგენა

საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

საგრანტო კონკურსის გამოცხადება	9 ოქტომბერი, 2023
საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა	16 ოქტომბერი, 2023
საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვების მიღების ბოლო ვადა	20 ოქტომბერი, 2023
საგრანტო განაცხადების მიღების ბოლო ვადა	12 ნოემბერი, 2023
განაცხადების ტექნიკური შეფასება	13 – 17 ნოემბერი, 2023
საგრანტო კომისიის მიერ განაცხადების შეფასება და წინასწარი შერჩევა	20 – 24 ნოემბერი, 2023
წინასწარ შერჩეული პროექტის გუნდებთან გასაუბრება	27 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2023
საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით	8 დეკემბერი, 2023
კონტრაქტების გაფორმება	11 – 22 დეკემბერი, 2023
პროექტების განხორციელება	1 იანვარი, 2024 – 31 დეკემბერი, 2024

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე: grants@cenn.org

აუცილებელია, წერილის სათაურში მიუთიოთ „CSO/LA საგრანტო კონკურსი“.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2023 წლის 12 ნოემბერი 18:00 საათი.**

გვიან წარმოდგენილი განაცხადები არ მიიღება.

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვები მიიღება წერილობით, შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე: grants@cenn.org

კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2023 წლის 20 ოქტომბერი.

9. წარსადგენი დოკუმენტები:

- დანართი 1: სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადის ფორმა ქართულ ენაზე (Microsoft Word-ის ფორმატში);
- დანართი 2: ბიუჯეტი (Microsoft Excel-ის ფორმატში);
- კონსორციუმში მონაწილეობის დამადასტურებელი წერილი მუნიციპალიტეტის მერიისგან (ბეჭდით და მერის ხელმოწერით);
- პროექტში ჩართული ყველა პირის CV/რეზიუმე (PDF ფორმატში);
- კონსორციუმში ჩართული ყველა ორგანიზაციის ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

10. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება

საგრანტო განაცხადის შერჩევის და შეფასების პროცესის დაწყებამდე, საპროექტო განაცხადი გაივლის ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას (წარმოდგენის ვადა, განაცხადის ფორმა, განმცხადებლის რეკვიზიტები, დანართების სიზუსტე, ბიუჯეტის რელევანტურობა და ა.შ.).

ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპზე აღმოჩენილი ხარვეზის(ების) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომისია განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან.

11. შეფასების პროცესი

საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვისთანავე საგრანტო კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმებისა და შეფასების პროცესს. საგრანტო განაცხადების შეფასება ხორციელდება საგრანტო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად, CENN-ის მიერ დამტკიცებული ფორმით.

განაცხადის შეფასება განხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

- პროექტის თემატიკის შესაბამისობა და მკაფიო მტკიცებულებების/ არგუმენტაციის არსებობა პრობლემისა და მისი მასშტაბის შესახებ;
- იდეის, პრობლემის აღწერა. რამდენად აქტუალურია წარმოდგენილი იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისთვისა და ჯგუფისთვის

- განმცხადებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით
- მონაწილეობითი მიდგომის ხარისხი (რამდენად ჩართულია სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები);
- მოწყვლადი ჯგუფებისა და გენდერული ნიშნით არსებული საჭიროებების ინტეგრირება საპროექტო განაცხადში;
- ხელშემწყობი წინაპირობები, პროექტის განხორცილებასთან დაკავშირებული გარემო ფაქტორები და რესურსები (ადამიანური, ტექნიკური და ა.შ.);
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინების ხარისხი.
- პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები;
- პროექტის ფინანსური დაგეგმარება (ლოგიკური ბიუჯეტი - ხარჯების რეალისტური გათვლა);
- პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები;
- პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები;
- პროექტის სიცოცხლისუნარიანობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგის შემთხვევაში. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელს გაეგზავნება წერილობითი პასუხი უარის თქმის მიზეზების შესახებ.

განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით მოთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ფაქტებისა და გარემოებების ადგილზე გადამოწმება.

12. ინტერესთა კონფლიქტი

კომისიის შერჩევის შემდეგ პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისთვის წარედგინება CENN-ის პროექტის ხელმძღვანელს და ფინანსურ მენეჯერს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი სრულ წესრიგშია, განმცხადებელი ხელს მოაწერს გრანტის ხელშეკრულებას CENN-თან.

13. მონიტორინგი

კონსორციუმის ლიდერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს CENN-სთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. CENN არ ითხოვს სერვისიით მოსარგებლეების შესახებ პირად ინფორმაციას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია CENN-ს მიაწოდოს კოდირებული ინფორმაცია მოსარგებლეების შესახებ. პროექტის პროგრამული და ფინანსური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონიტორინგის გუნდისათვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში.